

ზოგადი ინტელექტის კოეფიციენტისა და ემოციური ინტელექტის
კოეფიციენტის ეფექტურობა ადამიანური რესურსების შრომით შედეგებთან
მიმართებაში

ნათია სუხაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ჯინჭველაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია სუხაშვილი ნ. სუხაშვილი 29.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეამოწმოს IQ ტესტის, როგორც პერსონალის შერჩევის მეთოდის ეფექტურობა და ემოციური ინტელექტის გავლენა ადამიანური რესურსის შრომით შედეგებთან მიმართებით, კერძო კომპანიაში ჩატარებული ორგანიზაციული კვლევის მაგალითზე.

კომპანიაში IQ ტესტი პერსონალის შერჩევის მეთოდად გამოიყენება. მის ეფექტურობა იზომება შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მიხედვით. ემოციური ინტელექტის ჯამური ქულა და ქვესკალები დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების კომპონენტებთან.

კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: (1) თანამშრომელთა შესახებ პირველადი მონაცემების შეგროვება - ა. ტესტირება რავენის პროგრესული მატრიცების ინტელექტის საზომი ტესტის საშუალებით (Raven 1998), ბ. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარის საშუალებით (TEIQue v.1.5) (Petrides 2009); (2) თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების მეორადი მონაცემების ამოღება კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სისტემიდან.

კვლევის შედეგების კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა ძლიერი დადებითი კორელაცია ემოციების მართვის ნიშანსა და IQ შორის ($r=.403, p<.05$). რეგრესიული ანალიზის შედეგების მიხედვით ურთიერთობების ნიშნის სკალა ხსნის სამუშაოს მიმართ დამოკიდებულების ვარიანტების 29%-ს ($R^2=0.29, F=(2.219)=12.436, p<.01$), ადაპტურობის ნიშანი კი ორი დამოკიდებული ცვლადის - შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებისა ($R^2=0.18, F=(2.862)=7.070, p<.05$) და შრომითი შედეგების ($R^2=0.22, F=(1.939)=8.841, p<.01$) პრედიქტორია. IQ ქულა და EQ-ს ჯამური მაჩვენებლები არ არის ერთმანეთთან სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში. IQ არ წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის პრედიქტორს.

ჩატარებული კვლევის მიგნებები ღირებულ ინფორმაციას აწვდის ორგანიზაციას, რომლის საფუძველზეც მას შეუძლია ადამიანური რესურსების დაქირავების სტრატეგიის

ცვლილებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება. წინამდებარე კვლევის საშუალებით, ორგანიზაცია იღებს სტატისტიკურად სანდო ინფორმაციას, თუ თანამშრომელთა რა ინდივიდუალური მახასიათებლები ქმნის მისთვის ნამდვილად ღირებულ ადამიანურ რესურსს. ამასთან, აძლევს მასალას და იღებს მომავალი ორგანიზაციული კვლევების დაგეგმვისათვის.

საძიებო სიტყვები: IQ, ინტელექტი, ემოციური ინტელექტი, შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგი, შრომითი შედეგი, სამუშაოს მიმართ დამოკიდებულება,

მადლობა

წინამდებარე კვლევაში დახმარების გაწევსათვის ავტორი მადლობას უხდის:

თამარ ჯინჭველაძეს კვლევის ხელმძღვანელს გაწეული მენტორობისათვის, ხარისხის კონტროლისა და უმაღლესი სტანდარტების უზრუნველყოფისათვის; ასევე მუდმივი ემოციური მხარდაჭერისა და მოტივირებისთვის.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორს და მენეჯმენტს აზარტული თამაშების კომპანიაში, ორგანიზაციული კვლევის ჩატარების შესაძლებლობის მოცემისათვის, მეორადი მონაცემების მოწოდებისა და ნდობისათვის.

ხათუნა მარწყვიშვილს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს ფსიქოლოგიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორს, ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარისა და შევსებული კითხვარების შედეგების მოწოდებისათვის.

ნინო აბულაძეს, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრს ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკებისა და კონსულტირების მიმართულებით, გაწეული კონსულტაციისთვის მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებაში.